



ეთიკის კომისია რეკომენდაცია № 006/14

1. შეკითხვა

2014 წლის 7 ივლისს ეთიკის კომისიას მიმართეს შემდეგი შეკითხვით: თუ A არის ადვოკატი, X კლიენტი. პროცესუალური მოწინააღმდეგეა კლიენტი Y, რომელსაც ყავს ადვოკატი B. A უკავშირდება X-ის მოწინააღმდეგე მხარეს Y-ს ისე რომ, B-ს თანხმობა პირადად არ აქვს მიღებული, მაგრამ Y აცხადებს, რომ მისი ადვოკატი ამ კომუნიკაციაზე თანახმაა. უნდა გადაამოწმოს თუ არა A-მ B-ს თანხმობის რეალურობის საკითხი და რა ფორმით?

2. სამართლებრივი ანალიზი

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი მე-2 ნაწილს შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირად და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.

მოცემულ შემთხვევაში შეკითხვა არ შეიცავს ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რამდენად ინფორმირებულია ადვოკატ A-ს კლიენტი მოწინააღმდეგე მხარესთან ადვოკატის შესაძლო კომუნიკაციის შესახებ. ეს ინფორმაცია განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, ვინაიდან ადვოკატი უპირველეს ყოვლისა პასუხისმგებელია კლიენტის წინაშე და ვალდებულია დროულად მიაწოდოს მას ყველა ინფორმაცია („ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი).

გარდა ამისა, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი ავალებს ადვოკატს არ დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით... გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება. შესაბამისად, თუ ობიექტურად შეუძლებელია მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან დაკავშირება, ბუნებრივია ადვოკატი უნდა დასჯერდეს მიღებულ ინფორმაციას და ჩათვალოს, რომ მოწინააღმდეგე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაცია მისი ადვოკატის ინფორმირებულობის შესახებ არის ნამდვილი. საპირისპირო შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან დაკავშირება არის შესაძლებელი, კოლეგიალობის პრინციპი ადვოკატს ავალდებულებს მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან დაკავშირებას, რაც საკითხის დელიკატურობიდან გამომდინარე, უნდა ატარებდეს არა მოწინააღმდეგე მხარისაგან მიღებული ინფორმაციის გადამოწმების, არამედ კოლეგიალობის ხასიათს.



კოლეგიალობის პრინციპი არ არის მარტოოდენ ფორმალური ქცევის მოთხოვნა, არამედ იგი შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელია. ამ პრინციპის დაცვით ადვოკატებს შესაძლებლობა ეძლევათ გადაამოწმონ კლიენტისა და მოწინააღმდეგე მხარისაგან მიღებული ინფორმაცია საქმის მიმდინარეობისა, საქმესთან დაკავშირებული გარემოებებისა და მხარეთა შესაძლო მორიგების შესახებ, თავიდან აიცილონ არასწორი კომუნიკაციის შედეგად მიღებული ინფორმაციის დამახინჯება, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს საქმის განხილვის გართულება, ან მოჰყვეს მხარეთა და/ან ადვოკატთა შორის ურთიერთობის დამაბუვა და კონფლიქტი. გარდა ამისა, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან ადვოკატის სავალდებულო კომუნიკაცია ზრდის ადვოკატის პასუხისმგებლობას, რომ არაფერი ვთქვათ კოლეგის მიმართ პატივისცემის დადასტურების შესაძლებლობაზე.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატი A უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატ B-ს, თუ მასთან დაკავშირება ობიექტურად შესაძლებელია და მხოლოდ ამის შემდეგ, ადვოკატი B-ს თანხმობის შემთხვევაში უნდა შეხვდეს მოწინააღმდეგე მხარეს, რაც საკითხის დელიკატურობიდან გამომდინარე, უნდა ატარებდეს არა მოწინააღმდეგე მხარისაგან მიღებული ინფორმაციის გადამოწმების, არამედ კოლეგიალობის ხასიათს. იმავდროულად მოწინააღმდეგე მხარესთან შესაძლო კომუნიკაციის შესახებ დროულად უნდა იქნას ინფორმირებული მისი, ადვოკატი A-ს კლიენტი და ეს შეხვედრა უნდა შედიოდეს მის ინტერესებში.